# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 162

„10" ივნისი 2016 წ

ქ. თბილისი

**ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ალექსი გობრონიძის ქუჩის შესახვევისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, ქუჩასთან არსებული ჩიხისთვის, შესახვევისთვის და გასასვლელისთვის ასტროფიზიკოსი მიხეილ ვაშაკიძის სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) გლდანის რაიონში, ალექსი გობრონიძის ქუჩის შესახვევს, მასთან მდებარე უსახელო ქუჩას, ქუჩასთან არსებულ ჩიხს, შესახვევს და გასასვლელს მიენიჭოს ასტროფიზიკოსი მიხეილ ვაშაკიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


X - 486,330.252
Y- 4,625,275.321
X - 486,508.184
Y- 4,625,272.014
X - 486,728.781
Y- 4,625,214.467
I ჩიხი
I გას.
X - 486,569.038
Y- 4,625,194.623
X -486,445.676
Y- 4,625,179.740
X- 486,286.264
Y- 4,625,177.756
მიხეილ ვაშაკიძის ქ.
მიხეილ ვაშაკიძის ქ.
X - 486,722.166
Y- 4,625,163.865
X - 486,604.427
Y- 4,625,092.758
X - 486,736.057
Y- 4,625,066.300
I შეს.